მწერალი სხეულები ანა ბერნსის, ჰან კანგის, ესმა ონიანისა და მარიჯანის ტექსტებში

თინათინ ჯელია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე პატარიძე, ასისტენტ-პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,

2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოუქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ ჯელია 18.01.2026

მადლობა

პირველი მადლობა ეკუთვნის ბაბუაჩემს, მერაბ ჯელიას, მარავალი გრძელი, უდარდელი და ზღაპრული გასეირნებისთვის. ჩემს სხეულს ყოველი მათგანი დღემდე ახსოვს.

მადლობა ჩემს ხელმძღვანელს, სალომე პატარიძეს, გულისხმიერებისთვის, ნდობისთვის, ცოდნის გაზიარებისთვის და მუდმივი მხარდაჭერისთვის.

განსაკუთრებული მადლობა ჩემს საუკეთესო მეგობარს, თათული ჯაფოშვილს— მოელვარე ნათებას ჩემს ცხოვრებაში გზას საკუთარი თავისკენ მუდამ რომ მაპოვნინებს.

მადლობა ჩემს შეყვარებულს, გურამ ოთინაშვილს ჩემს ყველაზე სათუთ, საიმედო და მშვენიერ თავშესაფარს.

ამ ადამიანების გარეშე ნაშრომის დასაწერად ძალას საკუთარ თავში ვერ ვიპოვიდი.

აბსტრაქტი

ნაშრომი შეისწავლის სხეულებრივ კვალს თანამედროვე ექსპერიმენტულ რომანებში— ანა ბერნსის *მერძევეში* და ჰან კანგის *ვეგეტარიანელში* და მე-20 საუკუნის პოეტურ ტექსტებში —ესმა ონიანის *ბეწვის ხიდსა* და მარიამ ალექსიძის *ნედლ მასალაში*. აღნიშნულ ნაწარმოებებში სხეული არა მხოლოდ ცნობიერების ფორმირების აქტიურ აგენტად გვევლინება, არამედ ის თავად გარდაქმნის ტექსტის ფორმალურ სტრუქტურას და გამოცდილებას ენაში განასახიერებს. თეზისი ამტკიცებს, რომ ეს ტექსტები ტრანსკონტექსტუალურ დიალოგში ქმნიან უნიკალურ ცოდნას მნიშვნელობის ფორმირების არადუალისტურ, მატერიალურ-იდეურ პროცესზე. პოსტკრიტიკული კითხვისა და ახალი მატერიალიზმის თეორიული ჩარჩოს გამოყენებით ნაშრომი იკვლევს, თუ როგორ იშლება ტექსტებში ზღვარი სხეულსა და ენას შორის და როგორ იქცევა სხეული თხრობისა და მნიშვნელობის წარმოქმნის აქტიურ აგენტად.

საკვანძო სიტყვები: კორპორალურობა; განსხეულება; ახალი მატერიალიზმი; პოსტკრიტიკული კითხვა; დიფრაქცია; ექსპერიმენტული ლიტერატურა

Abstract

This thesis examines corporeal traces in contemporary experimental novels—Anna Burns's *Milkman* and Han Kang's *The Vegetarian*—and in twentieth-century poetic texts by Esma Oniani *Betsvis Khidi* (*The Razor's Edge*) and Mariam Aleksidze (Marijan) *Raw Material*. It argues that in these works the body functions not only as an active agent in the formation of consciousness but also reshapes the formal structure of the text, embodying experience within language. Through a trans contextual dialogue, the analysed texts generate a distinctive form of knowledge grounded in a non-dualistic, material–ideational process of meaning-making. Drawing on postcritical reading practices and the theoretical framework of new materialism, the study explores how the boundary between body and language dissolves, allowing the body to emerge as a central agent in narration and the production of meaning.

Keywords: corporeality; embodiment; new materialism; postcritical reading; diffraction; experimental literature